საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/16

ქ. ბათუმი 03 თებერვალი, 2021

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,დ" პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი (დანართი N1).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანება.

3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტების ყველა მართვის ორგანოს და დარგობრივ დეპარტამენტებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 03 თებერვლის ბრძანების

№01-02/16 დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სტუდენტის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ,,ბსუ") გადმოსვლის (შემდეგში - ,,გარე მობილობა"), ასევე ბსუ-ს სტუდენტის მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შემდეგში - ,,შიდა მობილობა") პროცედურებს.
2. ბსუ-ს სტატუსშეჩერებული სტუდენტის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნება (შემდგომში - ,,აღდგენა") ხორციელდება შიდა მობილობის ფარგლებში, წინამდებარე წესის, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებისა და ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის" შესაბამისად.
3. წინამდებარე წესის შესაბამისად მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.
4. ბსუ-ში გარე **მობილობის განხორციელებისათვის საჭიროა** სტუდენტი დარეგისტრირდეს ელექტრონულ პორტალზე, გააკეთოს ელ-განაცხადი მობილობაზე და გადაიხადოს მობილობის საფასური (40 ლარი) სს „საქართველოს ბანკში". მობილობის უფლების მინიჭების შემდეგ (დადებითი პასუხის შემთხვევაში) სტუდენტმა წერილობითი უნდა მიმართოს ბსუ-ს, წინამდებარე წესის შესაბამისად.
5. შიდა მობილობა წელიწადში ორჯერ ცხადდება, **სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში.** შიდა მობილობის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის სტატუსშეჩერებულს) საშუალება აქვს გადავიდეს ბსუ-ს ერთი ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე და შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა.
6. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
7. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება ეზღუდება დამატებითი სემესტრის სტუდენტს.
8. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით ფაკულტეტი უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვროს პროგრამაზე მიღების წინაპირობა ან/და მობილობის მსურველს ჩაუტაროს გასაუბრება/გამოცდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი სემესტრისათვის მობილობის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემამდე.

9. შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების რაოდენობა თუკი აღემატება პროგრამაზე მისაღები ვაკანტური ადგილების რაოდენობას, შესაბამისი ფაკულტეტი უფლებამოსილია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები.

10. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტს და ორგანიზებას უწევს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენას.

11. მობილობის/შიდა მობილობის მსურველი ვალდებულია ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში წარმოადგინოს წინამდებარე წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია:

ა) **შიდა მობილობის შემთხვევაში** - სტუდენტური პორტალის - **portal.bsu.edu.ge** საშუალებით;

ბ) **გარე მობილობის შემთხვევაში** - ბსუ-ს კანცელარიის საშუალებით. რექტორის ბრძანებით შესაძლებელია დაიშვას დოკუმენტაციის ელექტრონულად (info@bsu.edu.ge) წარმოდგენა, ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის დედნები (კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლები) წარმოდგენილი უნდა იქნეს მატერიალური სახით, კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებასთან ერთად.

12. **სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბსუ–ში გადმოსვლის (გარე მობილობის) მსურველმა** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (ნიმუში განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu@edu.ge);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ე) სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

ვ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

13. **ბსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) მსურველმა** ბსუ-ს სტუდენტმა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (განცხადების ნიმუში განთავსდება პორტალზე);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;

დ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ).

14. **ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველემა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულმა პირმა** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

   ა) განცხადება (*განცხადების ნიმუში განთავსდება პორტალზე*);

   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   გ) სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათის ასლი;

   დ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი;

   ე) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მობილობის მსურველის თანხმობის ან უარყოფის შესახებ განცხადება (ბსუ-ს მიერ გაგზავნილი აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ);

   ვ) ცნობა ბსუ-ში სწავლის ფინანსური დავალიანების დაფარვის შესახებ ან სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი, თუკი პირს ერიცხება სწავლის საფასურის დავალიანება.

15. მობილობის (შიდა მობილობის/აღდგენის) მსურველთა განცხადებები განსახილველად გადაეცემა ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, *რომელიც ამ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის* სამსახურთან შეთანხმებით ადგენს განმცხადებლის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დასკვნას, თანახმად ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილებისა.

16. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნები და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი ელექტრონულის საქმისწარმოების (eflow.emis.ge) საშუალებით გადაეცემა ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

17. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი კრედიტების აღიარების დასკვნების მობილობის მსურველთათვის გაცნობის მიზნით:

   ა) გარე მობილობის მსურველებს განუსაზღვრავს ვადას და ადგილს. იმავე ვადაში ხდება მათ მიერ კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის/უარყოფის განცხადების წარმოდგენა;

   ბ) შიდა მობილობის/აღდგენის მსურველ ბსუ-ს სტუდენტებს უგზავნის დასკვნებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით. იმავე ვადაში ხდება მათ მიერ კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის/უარყოფის განცხადების წარმოდგენა.

18. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფენ მობილობის/შიდა მობილობის/აღდგენის მსურველ იმ პირებთან, ვინც წარმოადგენს კრედიტების აღიარებაზე თანხმობის განცხადებას და წინამდებარე წესით მოთხოვნილი დოკუმენტაციის დედნებს

(კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლებს) მატერიალური სახით, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, ხელშეკრულებების გაფორმებას (ძალაში შევა მათი ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ).

19. ფინანსური დავალიანების სტატუსშეჩერებული პირის აღდგენის წესით ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის დროისათვის მას არ ერიცხება ფინანსური დავალიანება (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი აღნიშნულ ინფორმაციას გამოითხოვს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან).